სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080111157924523

№ 2347 18 / აგვისტო / 2023 წ.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 4 და 11 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელის“ (ს/ნ: 204919008) 2023 წლის 4 და 10 აგვისტოს №Ge52409out და №Ge52542out მომართვა და დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №6420 და №6580), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ (ს/ნ: 204919008) 2023 წლის 21 აგვისტოს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე